საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიაღის ეროვნული სააგენტო

KA020115999334821

მისამართი: თბილისი , დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: **+995 591 40 40 51**: ფაქსი: **+995 32 243 95 02**

 # 22/631 **12 / თებერვალი / 2021 წ.**

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მაქართას მიმდებარე ტერიტორიაზე, (C^2+C^1+B = 138 335 $მ^3$/წელიწადში) მაქართას მინერალური წყლის მოპოვების სკრინინგის განცხადებას.

გეოსაინფორმაციო პაკეტი და რუკა თან ახლავს სკრინინგის განცხადებას დანართის სახით.

სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს ზღვის დონიდან 1190-1195 მეტრის სიმაღლეზე, დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მაქართას მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე შავი არაგვის მარცხენა (ჭაბ.#7 და წყარო #18) და მარჯვენა (ჭაბ.13) ჭალისზედა ტერასაზე.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება II (საშუალო) კატეგორიას.

ობიექტი არ ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან სიახლოვეს, არც ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია წითელი ნუსხით დაფარული ხე-მცენარეები.

ამ მიზნით გაცემული ლიცენზია არ გამოიწვევს წყლის, ნიადგის, მიწის დაბინძურებას, ნარჩენების წარმოქმნას, გარემოს დაბინძურებასა და ხმაურს. ასევე არ არის მოსალოდნელი გარემოზე კუმულაციური ზემოქმედება.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული საქმიანობა გარემოზე შეფასების საქმიანობას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

დანართი: 4 გვ, Shape ფაილი

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ნანა ზამთარაძე